სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში"

ზაურ და ნარგიზ მელაძეების წარმომადგენლის ზაზა პაპიძის განცხადებასთან დაკავშირებით

შექმნილი თვითრეგულირების კომისიის

გადაწყვეტილება

საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

15 ივნისი ქ. ბათუმი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში" ზაურ და ნარგიზ მელაძეების წარმომადგენლის განცხადებასთან დაკავშირებით შექმნილი თვითრეგულირების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ემზარ პაქსაძე საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე;

- ბესარიონ შერვაშიძე - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" მაუწყებლობის განვითარების სამსახურში სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სპეციალისტი;

- ნათელა გოგიჩაიშვილი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" დირექტორის თანაშემწე - კომისიის წევრი;

კომისიაზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს" მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების წესების დაცვით მოწვეული იყო განმცხადებელი ზაურ მელაძე და ზაურ და ნარგიზ მელაძეების წარმომადგენელი ზაზა პაპიძე;

კომისიაზე მოწვეული იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" საავტორო-შემოქმედებითი სამსახურის საღამოს გადაცემა „ჰეშთეგი"-ს შემოქმედებითი ჯგუფი (რედაქტორი ირაკლი ყურუა, გადაცემის წამყვანი და სიუჟეტის ავტორი მაია ტაკიძე და ვანცენტ ხაბეიშვილი);

ამავე დროს კომისიის მიერ დაკმაყოფილდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" საავტორო-შემოქმედებითი სამსახურის საღამოს გადაცემა „ჰეშთეგი"-ს შემოქმედებითი ჯგუფის წევრის (გაადცემის რედაქტორის) ირაკლი ყურუას შუამდგომლობა და გადაცემაზე მოწვეული იქნა სპეციალისტის სახით ილიას უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორის თამარ გურჩიანი;

კომისიის მიერ საავტორო-შემოქმედებითი სამსახურის საღამოს გადაცემა „ჰეშთეგი"-დან გამოთხოვილი იქნა სიუჟეტი, რომელიც ეხება გადაცემა "ჰეშთეგში" 2021 წლის 20 მაისს გასულ სიუჟეტს მზიური მელაძეზე ძალადობის თაობაზე, 03 ივნისს. ლინკი https://www.facebook.com/tvshowhashtag/videos/139384541463620;

2021 წლის 15 ივნისის სხდომაზე გამოცხადნენ საჩივრის ავტორი განმცხადებელი ზაურ მელაძე და ზაურ და ნარგიზ მელაძეების წარმომადგენელი ზაზა პაპიძე; რომლებმაც განმარტეს, რომ არ სურდათ საჩივრის განხილვა, უარს ამბობდნენ საჩივარზე და მოითხოვეს საჩივრის განუხილველად დატოვება;

1. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1. 2021 წლის 03 ივნისს საზოგადოებრივ მაუწყებელს განცხადებით მომართა მოქალაქე ზაურ და ნარგიზ მელაძეების ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ზაზა პაპიძემ, რომელიც თავის განცხადებაში მიუთითებს, რომ 2021 წლის 26 მაისს სატელევიზიო არხის „აჭარის ტელევიზია" გადაცემა „ჰეშთეგის" ფეისბუქ გვერდზე 12:37 საათზე გავიდა სიუჟეტი, რომელსაც ჟურნალისტებმა წერილობით თან დაურთო თავისი შეფასებები, მასზედ რომ მზიური მელაძის მიმართ ხორციელდებოდა ძალადობა, კერძოდ, ჟურნალისტი წერს - **„ 32 წლის მზიური მელაძე ხულოს მუნიციპალიტეტში 4 შვილთან ერთად მუდმივი სტრესისა და დაუცველობის განცდით ცხოვრობს. 12 წლიანი ქორწინების ბოლო რამდენიმე წელი მისთვის განსაკუთრებით მძიმეა" -„ მას მაინც ემუქრებიან გამოსახლებით და მუდმივი შიშის ქვეშ ამყოფებენ". აღნიშნულის გავრცელებისა და საზოგადოების ნახვის შემდეგ, დიდი სტრესი მიიღეს მზიური მელაძის დედამთილმა ნარგიზ მელაძემ და ქმარმა ზაურ მელაძემ, მართალია მათ უთანხმოება აქვთ ერთმანეთში მაგრამ, გადაცემაში ასახულ ამბავს ადგილი არასოდეს ჰქონია და ფაქტები მიზანმიმართულად არის დამახინჯებული, განსაკუთრებით ნერვიულობენ აღნიშნულზე, რომ მათ არ მიეცათ საშუალება გამოეხატათ თავიანთი პოზიცია და საზოგაებრივმა მაუწყებელმა ცალმხრივად გააშუქა.** ჟურნალისტის მიერ მტკიცებით ფორმაში მითითებული გარემოებები, არის არაზუსტი, რაც ჟურნალისტს სათანადოდ არ გადაუმოწმებია. თავად ამ ინფორმაციის შნაარსის გათვალისწინებით მეორე მხარის კომენტარის მოპოვება არ უცდია. მაშინ როდესაც ამბის სრულად გადმოსაცემად აუცილებელ იყო მოპასუხე მხარის პოზიციაც გაეცნოთ მაყურებლისთვის, რაც არ მომხდარა. ეს ყველაფერი მიანიშნებს, რომ ჟურნალისტის, რედაქციის პოზიცია იყო წინასწარ განზრახული და სიზუსტის დარღვევა არ მომხდარა შემთხვევით და გაუთვალისწინებლად. გადამოწმების შემადგენელი ნაწილია ყველა რელევანტურ წყაროსთან ინფორმაციის დაზუსტება. აუდიტორიას უფლება აქვს იცოდეს ყველა წყაროსა და მხარის პოზიცია ამბვის შესახებ, რათა თავად შეძლოს ამ ინფორმაციის სანდოობის ანდა ნამდვილობის შეფასება, ჟურნალისტმა დამახინჯებული, არაზუსტი ინფორმაცია ისე მიაწოდა საზოგადოებას, რომ მისი გადამოწმების მცდელობაც კი არ ჰქონია, რითაც განზრახ შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება. ჟურნალისტმა პატივი არ სცა საზოგადოების უფლებას, მიიღოს გადამოწმებული ინფორმაცია და უფრო მეტიც, დაარღვია საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლება უდანაშაულობის პრეზუმცია და პრაქტიკულად დამნაშავედ მიიჩნია მეორე მხარე. მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრულია მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებები, კერძოდ **„მუხლი 16. შინაარსობრივი ვალდებულებები საზოგადოებრივი მაუწყეელი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა;** სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება." ამავე კანონის 54-ე მუხლის თანახმად, **„ 1. მაუწყებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება. 1. მაუწყებლები ვალდებული არიან ახალი ამბების პროგრამებში უზრუნველყონ ფაქტებთან და მოვლენებთან დაკავშირებული ყველა სახგულისხმო განსხვავებული აზრის სათანადოდ წაროჩენა რომელიმე ჯგუფისა თუ აზრის დისკრიმინაციის გარეშე."** ამავე

კანონის 52-ე მუხლში განსაზღვრულია მაუწყებლის ვალდებულება, ჯეროვანი სიზუსტეზე, შესწორებასა და უარყოფაზე, კერძოდ**„ 1. მაუწყებლები ვალდებული არიან მიიღონ ყველა ზომა პროგრამებში მოყვანილი ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწორონ შეცდომები. 2. დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან, 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება.“**

მოთხოვნა: 1. შესწორდეს და შესაბამისობაში მოვიდეს რეალობასთან გასული სიუჟეტში არსებული მასალა და მოხდეს მისი უარყოფა იმავე წესით საჯაროდ. 2. მომზადებულული გადაცემის ავტორისა და ჟურნალისტების მიმართ მოხდეს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი რეაგირება. “..... *(კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს ზაზა პაპიძის 2021 წლის #02-11/223 განცხადებაზე)*

1.2. აღნიშნული განცხადების (საჩივრის) საფუძველზე სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2021 წლის 08 ივნისს 02-09/75 ბრძანების თანახმად შეიქმნა თვითრეგულირების კომისია; *(კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2021 წლის 08 ივნისის 02-09/75 ბრძანებაზე);*

1.3. აღნიშნული თვითრეგულირების კომისიის შემადგენლობა დაზუსტდა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის *2021 წლის 14 ივნისის #02-09/79 ბრძანებით; (კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2021 წლის 14 ივნისის 02-09/79 ბრძანებაზე);*

1.4. ვინაიდან განმცხადებელი თავის საჩივარში (განცხადებაში) მიუთითებდა, რომ ,, ჟურნალისტის მიერ მტკიცებით ფორმაში მითითებული გარემოებები, არის არაზუსტი, რაც ჟურნალისტს სათანადოდ არ გადაუმოწმებია. თავად ამ ინფორმაციის შნაარსის გათვალისწინებით მეორე მხარის კომენტარის მოპოვება არ უცდია. მაშინ როდესაც ამბის სრულად გადმოსაცემად აუცილებელ იყო მოპასუხე მხარის პოზიციაც გაეცნოთ მაყურებლისთვის, რაც არ მომხდარა. ეს ყველაფერი მიანიშნებს, რომ ჟურნალისტის, რედაქციის პოზიცია იყო წინასწარ განზრახული და სიზუსტის დარღვევა არ მომხდარა შემთხვევით და გაუთვალისწინებლად. გადამოწმების შემადგენელი ნაწილია ყველა რელევანტურ წყაროსთან ინფორმაციის დაზუსტება. აუდიტორიას უფლება აქვს იცოდეს ყველა წყაროსა და მხარის პოზიცია ამბვის შესახებ, რათა თავად შეძლოს ამ ინფორმაციის სანდოობის ანდა ნამდვილობის შეფასება, ჟურნალისტმა დამახინჯებული, არაზუსტი ინფორმაცია ისე მიაწოდა საზოგადოებას, რომ მისი გადამოწმების მცდელობაც კი არ ჰქონია, რითაც განზრახ შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება. ჟურნალისტმა პატივი არ სცა საზოგადოების უფლებას, მიიღოს გადამოწმებული ინფორმაცია და უფრო მეტიც, დაარღვია საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლება უდანაშაულობის პრეზუმცია და პრაქტიკულად დამნაშავედ მიიჩნია მეორე მხარე.. . . ;" კომისიის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება საჩივრის განხილვის შესახებ; *(კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს* სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში" ზაურ და ნარგიზ მელაძეების განცხადებასთან დაკავშირებით შექმნილი თვითრეგულირების კომისიის სხდომის ოქმზე*);*

1.5. ამავე დროს კომისიის მიერ დაკმაყოფილდა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" საავტორო-შემოქმედებითი სამსახურის საღამოს გადაცემა ,,ჰეშთეგი"-ს შემოქმედებითი ჯგუფის წევრის (გადაცემის რედაქტორის) ირაკლი ყურუას შუამდგომლობა და გადაცემაზე მოწვეული იქნა სპეციალისტის სახით ილიას უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორის თამარ გურჩიანი; (კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს კომისიის გადაწყვეტილებაზე)

1.6. კომისიის მიერ საავტორო შემოქმედებითი სამსახურიდან გამოთხოვილი იქნა სიუჟეტი, რომელიც ეხება გადაცემა "ჰეშთეგში" 2021 წლის 20 მაისს გასულ სიუჟეტს მზიური მელაძეზე ძალადობის თაობაზე; ლინკი https://www.facebook.com/tvshowhashtag/videos/139384541463620; *(კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში" სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" ეთერში 2020 წლის 20 მაისს საავტორო შემოქმედებებითი სამსახურის საღამოს გადაცემა ,,ჰეშთეგში" გასულ სიუჟეტს;")*

1.7. კომისიას სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის 2015 წლის 01 ოქტომბრის #02-03/18 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს' მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მე-3 მუხლის თანახმად მეექვსე ნაწილის (*კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვისას აუცილებელია იურისტის (ან იურისტების ჯგუფის) სამართლებრივი დასკვნა;)* თანახმად სამართლებრივი დასკვნა წარმოუდგინა სსიპ ,,საზოგადოებრივ მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს: იურიდიული სამსახურის უფროსმა ნინო უტიაშვილმა; (კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს სსიპ ,,საზოგადოებრივ მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" იურიდიული სამსახურის უფროსის მიერ მომზადებულ სამართლებრივ დასკვნაზე;)

1.8. 2021 წლის 15 ივნისის სხდომაზე გამოცხადნენ საჩივრის ავტორი განმცხადებელი ზაურ მელაძე და ზაურ და ნარგიზ მელაძეების წარმომადგენელი ზაზა პაპიძე; რომლებმაც განმარტეს, რომ არ სურდათ საჩივრის განხილვა, უარს ამბობდნენ საჩივარზე და იშუამდგომლეს საჩივრის განუხილველად დატოვებაზე (კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს 2015 წლის კომისიის სხდომაზე მხარის და მისი წარმომადგენლის ახსნა-განმარტებაზე);

2. სამართლებრივი დასაბუთება:

2.1. სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის 2015 წლის 01 ოქტომბრის #02-03/18 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს' მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მე-4 მუხლის თანახმად 1. კომისია მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს შემდეგ საკითხებზე: 1.1. აჭარის ტელევიზისა და რადიოს პროგრამებში მოყვანილი ფაქტების უზუსტობის გამო წარმოდგენილი დავები; 1.2. ფაქტების ზუსტი, სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქების ვალდებულების დარღვევისას წარმოქმნილი დავები . . . 1.5 ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევები;" - შესაბამისად სწორედ იმის გამო, რომ *განმცხადებელი თავის საჩივარში (განცხადებაში) მიუთითებდა, რომ* ,,ჟურნალისტურ

პროდუქტში, რამდენიმე ფაქტობრივი უზუსტობა იყო წარმოჩენილი" აღნიშნული განცხადება (საჩივარი) მიღებული იქნა წარმოებაში, რათა დადგენილი ყოფილიყო სადაო სიუჟეტში მოყვანილი ფაქტების უზუსტობა;

2.2. ამავე დებულების მესამე პუნქტის თანახმად 1. კომისია მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს შემდეგ საკითხებზე:" - დებულების აღნიშნული მუხლის თანახმად თვითრეგულირების საფუძველზე კომისია განხილვას იწყებს მხოლოდ და მხოლოდ უფლებამოსილი პირის საჩივრის საფუძველზე;

2.3. ამავე დებულების მეექვსე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად *„საჩივრის განხილვა იწყება მომჩივანის (შემდგომში - დაინტერესებული მხარე), დაინტერესებული პირის საჩივრის წარდგენით აჭარის ტელევიზიის კანცელარიაში. საჩივარი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:"* - დებულების აღნიშნული ნორმის თანახმად კვლავ დაზუსტებულია, რომ კომისია უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს მხოლოდ და მხოლოდ სათანადო წესით დაცული წერილობითი სახით წარმოდგენის შემთხვევაში;

2.4. ამავე დებულების მეექვსე მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად „დაინტერესებული პირის მიერ ამ დებულებით განსაზღვრულ ვადაში და წესით საჩივრის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომისია საჩივარს ტოვებს განუხილველად.:" დებულების აღნიშნული ნორმა შეიცავს მითითებას, თუ რა შემთხვევაში შეიძლება საჩივრის განხულიველად დატოვება;

2.5. ამავე დებულების მერვე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: 1. კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: 1.4. საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;" მოცემულ შემთხვევაში არსებობს ყველა საფუძველი საჩივრის ავტორების შუამდგომლობის საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

ზემოთაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კომისიამ მიიღო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ზაურ და ნარგიზ მელაძეების წარმომადგენლის ზაზა პაპიძის 2021 წლის 03 ივნისის #2-11/229 განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერში 2021 წლის 20 მაისს საავტოტო-სემოქმედებიტი გადაცემების სამსახურის სარამოს გადაცემა „ჰეშთეგი"ს სიუჟეტთან დაკავსირებით დარჩეს განუხილველი;

2. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება აპელაციის წარდგენის წესით სააპელაციო კომისიაში (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოში") გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების დღიდან 7 სამუშაო დღის ვადაში მისამართზე ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41

- ბესარიონ შერვაშიძე - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" მაუწყებლობის განვითარების სამსახურში სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სპეციალისტი;

ნათელა გოგიჩაიშვილი - სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" დირექტორის თანაშემწე - კომისიის წევრი;